

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: რუსული ფილოლოგია / Russian Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Russian Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი დავით გოცირიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საბაზო ცოდნა რუსული ფილოლოგიის დარგში. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი შეისწავლის რუსულ ენას, სლავური ლიტერატურის ისტორიას, ქართულ-რუსული ენობრივ ურთიერთობებს, რუსეთის ისტორიასა და მის ლინგვოკულტურულ ურთიერთობებს ქართველურ სამყაროსთან; სლავურ ენათა შედარებითი გრამატიკის გარდა სპეციალურად შეისწავლიან ბაკალავრები ქართული და რუსული ენების შეპირისპეობით გრამატიკას; ასევე ძირითად ლიტერატურათმცოდნეობით სკოლებს და ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს მოტივირებულ, პასუხისმგებლობის მქონე და სამეცნიერო ეთიკური ნორმების ბაკალავრს.

პროგრამის შედეგები:

რუსული ფილოლოგიის შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სლავისტიკასა და სლავისტიკის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სლავისტიკის განვითარების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის კვლევისთვის. სლავურ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა, საერთო ნიშნების ცოდნა. ლინგვისტური კომპარატივისტიკის ამოსავალი დებულებების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება დაწყებით უნარების დონეზე. რუსული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა; კითხვის, თარგმნის, აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარი. ელემენტარული ლინგვისტური ანალიზის ჩვევების გამომუშავება. რუსული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ათვისება თანამედროვე სლავური ლიტერატურის ჩათვლით. რუსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; სლავური ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება. თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება. რუსულ-ქართული ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა და ანალიზი. ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენის შექმნა. რუსეთის ისტორიის ზოგადი კურსის შესწავლა; რუსული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; რუსეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი (ისტორიული, გეოგრაფიული

ხასიათის) გაცნობა. პრაქტიკული უნარები. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემისა და მისი ცალკეული სტრუქტურების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. საკომუნიკაციო უნარები დისკუსიაში პროფესიული (ზოგადლინგვისტური და თურქოლოგიური) ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; სემინარებსა და სარეფერატოდ მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება მისაღები ფორმულირებით.

დასაქმების სფეროები: ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს საბაზო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საინფორმაციო საშუალებების, რეგიონული და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსის დასრულების შემდეგ წარჩინებული ახალგაზრდები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე;

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია მეორე სემესტრიდან.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E

41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს-ცენტრი თსუ მე-2 და მე-5 კორპუსებში.

major/minor პროგრამების კომბინაციები.

major

რუსული ფილოლოგია

minor

ქართული ფილოლოგია

პედაგოგია

ფილოსოფია

ჟურნალისტიკა

ფსიქოლოგია

ინფორმატიკა

საერთაშორისო ურთიერთობები

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: რუსული ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული / რუსული

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი დავით გოცირიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: დამატებითი საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს საბაზო ცოდნა რუსული ფილოლოგიის დარგში. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრი შეისწავლის რუსულ ენას, სლავური ლიტერატურის ისტორიას, ქართულ-რუსული ენობრივ ურთიერთობებს, რუსეთის ისტორიასა და მის ლინგვოკულტურულ ურთიერთობებს ქართველურ სამყაროსთან;

სწავლის შედეგები: რუსული ფილოლოგიის შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სლავისტიკასა და სლავისტიკის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სლავისტიკის განვითარების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის კვლევისთვის. სლავურ ენათა სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), რუსული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში გარკვევა; სლავური ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარ-ჩვევების გამომუშავება. თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება. რუსულ-ქართული ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა და ანალიზი. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სამუშაო დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. პრობლემის სინქრონიში და დიაქრონიში ხედვის უნარი; სისტემისა და მისი ცალკეული სტრუქტურების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. საკომუნიკაციო უნარები დისკუსიაში პროფესიული (ზოგადლინგვისტური და თურქოლოგიური) ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა; სემინარებსა და სარეფერატოდ მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება მისაღები ფორმულირებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: დასაქმებას განსაზღვრავს კურსდამთავრებულის ძირითადი სპეციალობა. დამატებითი პროგრამის რუსული ფილოლოგიის გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საინფორმაციო საშუალებების, რეგიონული და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: დამატებითი სპეციალობა რუსული ფილოლოგია შეუძლია ისწავლოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტმა, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა (ესენია: სამართალი და მედიცინა).

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მესამე სემესტრიდან.